საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/76

ქ. ბათუმი 25 აპრილი, 2023 წ

,,2023-2024 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 მარტის №01-02/59 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, ,,ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის და უფროსის მოადგილის (25.04. 2023 წლის №453238) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 30 მარტის №01-02/59 ბრძანების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. ,,2023-2024 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში (ვროცლავი, რუსე, კორდობა, ოსიჯეკი, ბიდგოში, მურსია, ზაარლანდი) საერთაშორისო მობილობის მონაწილე 4 (ოთხი) აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და 8 (რვა) სტუდენტის გამოსავლენად **გამოცხადდეს კონკურსი და განისაზღვროს შემდეგი ვადები და კრიტერიუმები:**

1.1. **კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის** (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს N06-01/89 დადგენილებით განსაზღვრული) **მიღება:**

ა) აკადემიური პერსონალის მიერ - ელექტრონულად, 2023 წლის 31 მარტიდან – 27 აპრილის ჩათვლით 17:00 საათამდე შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის (eflow-ს) მეშვეობით

ბ) მოწვეული მასწავლებელთა პერსონალის მიერ - ელექტრონულად, 2023 წლის 31 მარტიდან – 27 აპრილის ჩათვლით 17:00 საათამდე შემდეგ ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ბსუ-ს ელ.ფოსტაზე - chancellery@bsu.edu.ge-;

გ) სტუდენტების მიერ - ელექტრონულად, ბმულზე - https://registration.bsu.ge/Registration-2.php და ბსუ-ს პორტალის მეშვეობით (2023 წლის 31 მარტიდან – 21 აპრილის ჩათვლით 15:00 საათამდე).

1.2 საბუთების შემოწმება და შეფასება (საბუთების შემოწმებასა და შეფასებას დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი);

ა) სტუდენტების -2023 წლის 24-25 აპრილი, 10:00-13:00 საათი;

ბ) აკადემიური/მოწვეული პერსონალის - 27 აპრილი, 17:00-18:00 საათი;

1.3. ტესტირება/გამოცდა ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენაში (ინგლისური B1/B2, ფრანგული B1 და გერმანული B1)- **2023 წლის 26 აპრილი** (ტესტირების ფორმატი და ჩატარების ზუსტი დრო დამატებით ეცნობოს კონკურსანტებს ბსუ-ს ვებგვერდის ან/და მათ მიერ საკონკურსო განაცხადში მითითებულ ტელეფონებზე/ელექტრონულ ფოსტაზე);

1.4. გასაუბრება კომისიასთან - **2023 წლის 27-28 აპრილი**;

1.5. საბუთების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტებში - არაუგვიანეს **2023 წლის 29 აპრილისა.**

2. წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტი მომზადდეს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ და გაეგზავნოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს - ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის, ხოლო სასწავლო პროცესის დეპარტამენტს - ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.

3. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**